Poti ფოთი 91

ყურადღება! წყალმოთხილამურეთა ევროპის ჩემპიონატის გახსნამდე დარჩა 15 დღე

ლელო

საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს გაზეთი

30 ივლისი, სამშაბათი, 1991 წ.
№ 112 (10 555) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

თბილისი— ლენინგრადი— კრეტა...

ასეთია საქართველოს იუნიორ ველოსიპედისტთა ნაკრების მარშუტი.

გუშინ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქიდან ლენინგრადს გაფრინდა კოლექტივი, რომლის შემადგენლობაში არიან დავით შავგულიძე, ზვიად ლორთქიფანიძე, ზაზა მელაძე, გიორგი ხუციშვილი და მალხაზ ჩახუნაშვილი. მათ ლენინგრადში შეუერთდებათ აკაკი ზაზახიძე, რომელიც სხვა თანაგუნდელებთან — გოგიტა ფრუიძესთან, გელა ნოზაძესთან, თემურ ბუჩუკურთან და ვიტალი პოტაპოვთან ერთად ნევისპირა ქალაქის ტრეკზე კვირას დამთავრებულ საერთაშორისო შეჯიბრებაში მონაწილეობდა. პირველი ექვსეული ზეგ ლენინგრადიდან კუნძულ კრეტაზე გაფრინდება და იქ ახალგაზრდების მრავალდღიან საერთაშორისო შეჯიბრებაში მიიღებს მონაწილეობას. ამ ტურნირზე გუნდს თან გაჰყვნენ სპორტის დამსახურებული ოსტატი ომარ ფხაკაძე, მწვრთნელი ავთანდილ მიქუჩაძე და ველოსპორტის ფედერაციის გენერალური მდივანი შალვა სალარეიშვილი.

ფაქტები, მხოლოდ ფაქტები...

ნინოს ზნეობრივი გამარჯვება,

საბჭოთა ნაკრების მარცხი

იტალიის ქალაქ ბოლონიაში კვირას დასრულდა ევროპის ჩემპიონატები სასტენდო და ტყვიის სროლაში. იმის გამო, რომ სეულის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ჩუბინი, თბილისელი ნინო სალუქვაძე საბჭოთა ნაკრების ღირსებას აღარ იცავს და, ცხადია, ბოლონიაშიც არ წასულა, მისი ღირსეული შემცვლელი კი საკავშირო ნაკრებს არ ჰყავს, სპორტული პისტოლეტიდან, ასპარეზობაში გამარჯვება არ გასჭირვებია ფრანგ კარინ სერა-ტოზიოს. მან ფინალის ჩათვლით 684 ქულა მოაგროვა და 4 ქულით ჩამოიტოვა ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორები — სვეტლანა სმირნოვა და მარინა ლოგვინენკო. სერა-ტოზიოს ამ წარმატებამ ფრანგების გუნდურ ჩემპიონობასაც დიდად შეუწყო ხელი — მათ 1745 ქულა მოაგროვეს და 1 ქულით აჯობეს საბჭოთა გუნდს.

„შენი რაა, რომ ამშვენებ"...

ბარსელონა. მომავალი ოლიმპიადის დედაქალაქში დამთავრდა ძიუდოისტთა მეჩვიდმეტე მსოფლიო ჩემპიონატი, რომელსაც სპორტის ამ სახეობის წარმომადგენლები განიხილავდნენ, როგორც მთავარ რეპეტიციას ბარსელონის თამაშების წინ. მრავალი წლის შესვენების შემდეგ, წარმატებას ძიუდოს ფუძემდებლებმა — იაპონელებმა მიაღწიეს. მათ მოიპოვეს არა მარტო გუნდური გამარჯვება, არამედ ყველაზე ბევრი ოქროს მედალიც. ისე კი, უნდა ითქვას, რომ ბარსელონაში უმედლოდ არც ერთი იაპონელი ძიუდოისტი არ დარჩენილა: ოთხმა ოქროს ჯილდო მიიღო, ერთმა ვერცხლისა და ორმაც ბრინჯაოს მედალი

მედლების რაოდენობით მეორე ადგილზე არიან სსრკ-ის ძიუდოისტები — ერთი ოქროს, ერთი ვერცხლისა და ოთხი ბრინჯაოს ჯილდო, მაგრამ ოქროს მედლებით მათ გერმანელმა ათლეტებმა გაუსწრეს (ორი — „ოქრო", ამასთან, ერთი „ბრინჯაო").

აბსოლუტურ წონაში 20 წლის ქუთაისელ დავით ხახალეიშვილს ვერცხლის მედალი ერგო.

სოხუმელ ვლადიმერ დგებუაძეს მესამე ადგილი ხვდა 71 კგ წონით კატეგორიაში.

პრესტიჟულია თუ არა ცხოვრობდე ამერიკაში და ჩაწერილი იყო დიდ დიღომში?

რა თქმა უნდა, პრესტიჟულია და მერე როგორ? ყოველ შემთხვევაში ასე მიაჩნია ცნობილ მოჭადრაკეს ელენა ახმილოვსკაიას. კარგა ხანია ამ სპორტსმენმა, ისევე ადვილად დატოვა საქართველო, როგორც ამ რამდენიმე წლის წინათ აირჩია იგი საცხოვრებლად და ახლა აშშ-ის ქვეშევრდომი გახლავთ. დიდი დიღმის სახლმმართველობაში „ლელოს" კორესპონდენტი მოულოდნელად წააწყდა საქართველოს სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს ორ პასუხისმგებელ მუშაკს. რომლებსაც თურმე ახმილოვსკაიას ბინის ბედი უნდა გაერკვიათ.

დადგინდა, რომ ბინაში ამჟამად არავინ ცხოვრობს, მის რკინის კარებს მეზობლების განმარტებით, დროდადრო ახმილოვსკაიას ქმარყოფილი (?!) თუ შეაღებს ხოლმე.

ახლა საბოლოო სიტყვა საბურთალოს რაიონის სახალხო სასამართლოზეა, სადაც მალე განიხილავენ ახმილოვსკაიასათვის მიტოვებული ბინის ჩამორთმევის საკითხს. ბინის დაბრუნებას მოითხოვს სპორტისა და ტურიზმის სამინისტრო, რომლის ფონდიდანაც იგი თავის დროზე გაიცა.

ხალხის ჯანმრთელობა ქვეყნის საგანძურია

ჯერ „ჩაუქი" დავაყენოთ ფეხზე

„დავფიქრდეთ, ვიმოქმედოთ, ერის ჯანმრთელობა საფრთხეშია!" მარშან ამ რუბრიკით რამდენიმე საგანგაშო წერილი გამოქვეყნდა „ლელოს" ფურცლებზე. მაგრამ ერთია განგაშის ატეხა, და მეორე — პრობლემის გადაჭრის რეალური გზის გამოკვეთა. მთავარი, დაგვეთანხმებით, მაინც ეს არის. ორიგინალობას არ ვიჩემებთ, მაგრამ ერთადერთი და პირდაპირი გზა საერთო ფიზიკური გაჯანსაღებისა უშუალოდ იქიდან იწყება, სადაც ხალხი ცხოვრობს. სპორტულ-გამაჯანსაღებელი კლუბების შექმნა საცხოვრებელ ადგილებში — აი, რა არის მთავარი. ოღონდ, რა თქმა უნდა, კლუბმა საქმე უნდა აკეთოს, თორემ მსგავსი კლუბი ადრეც ბევრი გაუხსნიათ ქაღალდზე, ისე, თავის მოსაჩვენებლად.

როგორ შევქმნათ ასეთი რეალური კლუბი, რით უნდა დაიწყოს მან საქმიანობა, რა უნდა აკეთოს, როგორ მოიზიდოს მოსახლეობა? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ისევ ჩვენ გადავწყვიტეთ.

საბურთალოს რაიონში, დიდი დიღმის დასახლებაში, „ლელოს" რეკომენდაციით გაიხსნა სპორტულ-გამაჯანსაღებელი კლუბი „ჩაუქი". ალბათ, გახსოვთ, კლუბმა უკვე ჩაატარა პირველობა ფეხბურთში დასახლების კორპუსებს შორის. სექტემბრიდან ნავარაუდევია ჯგუფების გახსნა ხერხემალგამრუდებული მოზარდებისთვის, იმუშავებს აგრეთვე ცურვის, რბენის, საერთო ფიზიკური მომზადების ჯგუფები, კარატეს, ჰოდაობის ცალკეული სახეობების, მაგიდის ჩოგბურთის, ჭადრაკის, შაშის, სექციები, კლუბში ფართოდ დაინერგება ოჯახების მომსახურება, დაიდგმება ტრენაჟორები, საუნა...

მაგრამ სად? ეს პრობლემა ერთობლივად გადაჭრეს თბილისის პრეფექტმა ი. ანდრიაძემ, თბილისის საბინაო მეურნეობის სამმართველოს უფროსმა თ. მეგრელაძემ და საბურთალოს რაიონის საკრებულოს გამგეობის თავმჯდომარემ თ. კალაძემ — „ჩაუქს" დიდ დიღომში გამოეყო 280 კვ. მეტრი ფართობი (I სართული და სარდაფი) დიმიტრი თავდადებულის ქუჩის № 2 კორპუსში.

ფართობის გამოყოფა თავისთავად არაფერს ნიშნავს. საბურთალოს რაიონის თავკაცმა თ. კალაძემ, მისმა მოადგილემ გ. რუხაძემ, საკრებულოს შესაბამისი კომისიის თავმჯდომარემ გ. მეგრელიძემ, დეპუტატებმა ჰ. ყარაშვილმა და ს. თოდუამ, სპორტსაზოგადოება „შევარდენის" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ ვ. შუბლაძემ, თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ ვ. კანკავამ, პრობლემებში გარკვევა უშუალოდ ადგილზე მისვლით გადაწყვიტეს. საკითხის აქტუალობას ისიც ადასტურებს, რომ დიდ დიღომში ახალშექმნილ კლუბს იმ დღეს ეწვივნენ საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის მინისტრის პირველი მოადგილე მ. მნათობიშვილი და მინისტრის მოადგილე მშენებლობის დარგში დ. გურგენიძე.

საქმისადმი ასეთი მიდგომით და ერთსულოვნებით შეუძლებელია სასიკეთო საქმე არ გაკეთდეს — ყველა დახმარების სურვილით მივიდა კლუბში და ბევრ საკითხში შეთანხმდნენ კიდეც. სპორტისა და ტურიზმის სამინისტრო შეადგენს კლუბის ფართობის რეკონსტრუქციის გეგმას და გამოყოფს სამშენებლო ორგანიზაციას, რაიონის საკრებულო იზრუნებს თანხების გამოძებნაზე, „შევარდენი" მზად არის კლუბს დაეხმაროს ინვენტარით აღჭურვაში, ქალაქის სპორტკომიტეტი დაამონტაჟებს საწყლოსნო კომპლექს „ვერეს" მიერ საჩუქრად გადაცემულ საუნას. სახსრების მოზიდვის მიზნით, „ჩაუქი" გახსნის ავტოსადგომს, ამ ეტაპზე მოიზიდავს კოოპერატივებს და მცირე საწარმოებს, როგორც სპონსორებს. უკვე გამოჩნდა ერთი ასეთი სოლიდური ორგანიზაცია — კოოპერატივი „იადონი". ახლა მთავარია ორმხრივი შეთანხმებისთვის ოფიციალურად გასცენ ნებართვა რაიონის საკრებულოს ხელმძღვანელებმა.

მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღება ეროვნული მნიშვნელობის საკითხია. ადრე თუ გვიან, ამ საქმისთვის ყველა სერიოზულად მოიცლის, ყველა დაფიქრდება, ყველა ამოქმედდება. „ჩაუქი" წინ უსწრებს მოვლენებს — მისი გამოცდილება საყოველთაოდ განზოგადდება.

მაგრამ ჯერ... ჯერ „ჩაუქი" დავაყენოთ ფეხზე.

დიდ დიღომში შეხვედრის ფრაგმენტები. აქ, ამ ადგილზე ეყრება საფუძველი „ჩაუქის" მომავალს. შუაში სურათზე მოჩანს შენობის პირველი სართული ჩამსხვრეული მინებით — ასეთი ჩაიბარა იგი სპორტულ-გამაჯანსაღებელი კლუბის გამგეობამ.

სპორტის უჩინარი მსახური

ნაძალადევი: ბურთის ძეგლი და მკლავმაგარი ბიჭები

თემურ გიორგაძის გაცნობის სურვილი ჯერ კიდევ თბილისის „იბერიის“ ფეხბურთელ გია ნემსაძესთან საუბრისას გამიჩნდა. ახალგაზრდა კაცი კრძალვითა და სიყვარულით იხსენებდა იმ დროს, ნაძალადევის რაიონის ერთი უბანი, რომლის „ცენტრადაც“ კინოთეატრი „საქართველო“ ითვლებოდა, ფეხბურთით რომ სუნთქავდა და ცხოვრობდა. სწორედ მაშინ ახსენა გიამ თემურ გიორგაძე, ყველა კაცური საქმის მოთავე, უბნის საფეხბურთო ბატალიების სულისჩამდგმელი. მერე ისიც თქვა, თემურ გიორგაძისა და მისი თაობის დამსახურებაც არის, ქართული ფეხბურთის ცის კაბადონზე ასე რომ გამობრწყინდნენ ძმები მაჩაიძეები, საშა ჩივაძე ვოვა გუცაევი, და სხვები. სწორედ მათ შეუწყვეს ხელი, რომ ამ ბიჭების ნიჭი და უნარი ქუჩის ფეხბურთის თავისებურ აკადემიასაც გამოეწრთო და არც მათი სათამაშო ხელწერისათვის დამახასიათებელი ბუნებრივობა დაკარგულიყო.

მენიშნა: გია ნემსაძემ ეს ყველაფერი გადმოცემით იცის, მაგრამ სიყვარულის იმ მარცვალს, მამამისსა და მის მეგობრებს რომ ჩაუგდიათ ნაძალადეველი ყმაწვილების გულში, მყარი ნიადაგი უპოვია და დღეს მის ნაყოფს ახალი თაობა იმკის.

მე რომ მკითხონ, ფეხბურთის ამ უჩინარი რაინდების პატივსაცემად ნაძალადევში, იქ სადაც ბიჭოსა და ბურთის ურთიერთობის დიდი ნის იმ საფეხბურთო ყოჩების ძეგლს დავუდგამდი, მასზე კი უბნის იმ საფეხბურთო ყოჩების ავტოგრაფებს ამოვტვიფრავდი, ვინც ვერ შეძლო თავისი ოცნება დიდ ფეხბურთში განეხორციელებინა, ისე კი, ნებსით თუ უნებლიეთ, დიდი ოსტატების აღზრდას შეუწყო ხელი.

თემურ გიორგაძესთან საუბარს რომ ვაპირებდი, ბედად ნაძალადეველ ბიჭებთან შეხვედრა მომიხდა, სწორედ იმ თაობასთან, 70-იანი წლების თბილისის „დინამოს“ უკვე ხსენებული გრანდების ბავშვობასა და ყრმობას რომ მოესწრო. ბევრი საგულისხმო მომენტი მათაც გაიხსენეს და კიდევ. ბავშვობის ერთი „საიდუმლო“ გამანდეს: თემურ გიორგაძე აივანზე რომ გადმოდგებოდა, უბნის ბავშვები ალტაცებით შევცქეროდით, მის აღნაგობას შევნატროდით და ძლიერი და დაკუნთული სხეული ჩვენც ვარჯიშის სურვილს გვიღვიძებდა. მით უმეტეს, მაშინ კულტურიზმი ჩვენთვის უცხო ხილი იყო, ეს კაცი კი მთელი თავისი არსებობით სიძლიერისა და სიჯანსაღის ეტალონად გვექცაო.

დღეს კი, როგორც თბილისის ყველა უბანმა, ნაძალადევმაც დაკარგა ძველი სპორტული იერი და კოლორიტი. ამიტომ, ბუნებრივია, ბატონ თემურთან საუბრის დასაწყისი ნოსტალგიური იყო.

— ნაძალადევში სპორტი ყოველთვის უყვარდათ და დღესაც უყვართ. უბრალოდ, სტადიონები გააუქმეს, მოედნები მიანგრ-მოანგრიეს, ყველგან შენობები ჩადგეს. თუ სავარჯიშო არ გექნა, შიშველი ენთუზიაზმით რა უნდა ქნა?

მახსოვს, ყოფილი ლენინის სახელობის დარბაზის გვერდით პატარა საჭიდაო სარბიელი იყო. ვინ მოთვლის, ამ ერთი ციდა ოთახში რამდენი ჩემპიონი გაიზარდა. ტერიტორიულად თითქოს მოხერხებული იყო. ახლა კი ვაკეში ააშენეს ჭიდაობის დარბაზი. ეს მე გაუმართლებლად მიმაჩნია, რადგან ქალაქის პერიფერიებიდან ყმაწვილებს გაუჭირდებათ იქ სიარული, ვაკელი ბავშვი კი ყურს არავის გაატეხინებს.

ჩემი ბავშვობის უბანზე დავიწყეთ საუბარი. ეს გულისტკივილი მხოლოდ მას არ ეხება. ქალაქი თითქოს უსაშველოდ გაიბერა და ჩვენც ძალიან დავშორდით ერთმანეთს.

● **მაინც როგორი გახსოვთ თქვენი ბავშვობისა და ყრმობის უბანი?..**

— ყველანი ერთმანეთს ვიცნობდით, ჭირი და ლხინი საზიარო გვქონდა. შევიკრიბებოდით უბნის ბიჭები და ბურთაობაზე უკეთესზე რაზე უნდა გვეფიქრა? ერთი რამ მტკიცედ გვჯეროდა: სპორტთან თუ ვიმეგობრებდით, ჯანიც და სულიც მრთელი გვექნებოდა. რა გგონიათ, მაშინ არ იშოვებოდა „წამალი“ და ათასი უბედურება? მაგრამ იქით არც ვიყურებოდით, ნარკოტიკების მონობა სულმდაბლობად მიგვაჩნდა. ჩვენ ჩვენი მამების მაგალითით ვცხოვრობდით, ჩვენს შემდეგ მოსულებიც ჩვენს გზას აგრძელებდნენ...

კარგად მახსოვს, პირველად ვოვა გუცაევი რომ გამოჩნდა ჩვენს შორის, „ბებრები“ ყმაწვილებს ვეთამაშებოდით. თავდაპირველად კარში მივუჩინეთ ადგილი, არც ერთი ბურთი არ გაუშვია, მეორე ტაიმში კი უკვე თავდასხმაში დავაყენეთ და შვიდი ბურთი გაიტანა.

შაბათ-კვირას ტრიკოტაჟის ფაბრიკის სტადიონზე მივდიოდით გოგი ხუციშვილი, გიზო ჭათამაძე, ომარ შაუთიძე, ვაჟა ნემსაძე და სხვები. მაშინ მანუჩარიც, გოჩაც, საშაც და ვოვაც ამ სტადიონთან არსებულ საფეხბურთო გუნდში ვანო შუდრასთან ვარჯიშობდნენ, ჩვენც გვეხალისებოდა მათთან თამაში, ისინიც, ალბათ, რაიმე სასიკეთოს სწავლობდნენ ჩვენგან და ამიტომ ყოველთვის სიხარულით გვთანხმდებოდნენ შეხვედრაზე. ხალხიც დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს ჩვენს მატჩებს.

● **ზოგს კოჭებშივე ეტყობა ამა თუ იმ საქმის ნიჭი და ალღო, ზოგს წლები და გამოცდილება აქცევს ოსტატად. იმ დინამოელთაგან, თქვენს გვერდით რომ გაიზარდნენ, უკეთეს მომავალს ვის უწინასწარმეტყველებდით?**

— ოთხივეს ჰქონდა საკმარისი ნიჭი და ჟინი იმისათვის, რომ დიდი ფეხბურთი ეთამაშათ, მაგრამ მანუჩარი მაინც სხვა იყო. უფროსებს და უფრო გამოცდილებს ათი მეტრიდან უბოდიშოდ გვატყუებდა. რა უნდა გექნა...

ჩივაძე ბავშვობაშივე ისეთივე ჯენტლმენი და წესიერი იყო, როგორც შემდეგ, დიდ ფეხბურთში. რამე ისე რომ არ გამოუვიდოდა, როგორც უნდოდა, მკერდზე ხელს მიიდებდა და — „მაპატიეთ, რა!“ გვეტყოდა ხოლმე.



თემურ გიორგაძე

ვოვამ კი თავის პირველსავე მატჩში დაამტკიცა, რაც იქნებოდა, ის შვიდი გოლი, ბავშვის პირობაზე, ერთიმეორეზე ლამაზი იყო.

● **წელან გულისტკივილით აღნიშნეთ, ქალაქი „გაიბერა“, სპორტის სიყვარული დაიკარგაო. ამაში, ალბათ, ახლანდელი მშობლებიც სცოდავენ. ასე ჰგონიათ, ბავშვმა თუ სპორტში ვარჯიში დაიწყო, უინტელექტო ადამიანად გაიზრდება...**

— რა თქმა უნდა, მშობლებისა და აღზრდის ბრალიც არის. თუმცა თვითონ ბავშვზეცაა დამოკიდებული. ჩემთვის, მაგალითად, არც დაუძალებიათ და არც დაუშლიათ სპორტზე სიარული. ძალიან სუსტი ბავშვი ვიყავი, ტანმორჩილი. ქალაქში მაშინ ქუხდა ამირან დუმბაძე, ვაჟკაცი კაცი, რომელსაც საოცარი აღნაგობა ჰქონდა. მისმა შემხედვარემ მეც ვარჯიში გადავწყვიტე. ჯერ ჰანტელებით დავიწყე, ამან ფიზიკურად გამაკაჟა, მერე ცურვაში ვიმეცადინე მწვრთნელ იოაკიმიდისთან. ცოტა რომ მოვღონიერდი, წყალბურთზე გადავედი, პატარ-პატარა წარმატებები მქონდა, მაგრამ მედლებისთვის არასოდეს მივარჯიშია — ადამიანისთვის ყველაზე დიდი ჯილდო ხომ ჯანმრთელობაა.

ერთ ხანს ჭიდაობაშიც მოვსინჯე ძალა. სწორედ მაშინ გავიცანი და დავუახლოვდი ჭიდაობის ქართული სკოლის სწორუპოვარ ფალავნებს: ვოვა რუბაშვილს, ანზორ კიკნაძეს, გურამ საღარაძეს, ჯემალ შენგელიას. სპორტის ამ სახეობამაც, ვფიქრობ, ჩემს ხასიათს რაღაც თვისებები შემატა...

...ზემოთ ვთქვი, უბანში თემურ გიორგაძე ყველა კაცური საქმის მოთავე და სულისჩამდგმელი იყო-მეთქი. მას არც დღეს გადაუხვევია იმ გზისთვის, მართალი და ნაღდი კაცის გზა რომ ჰქვია. მოგეხსენებათ, მეცენატობა ჩვენში ახლა, სა მოცდაათწლიანი განუკითხაობის შემდეგ, კვლავ იწყებს აღორძინებას. თემურ გიორგაძემ სპორტს თავისი სიყვარული აქაც გაუმჟღავნა და მკლავჭიდელებმა მისი დახმარებით ქართული სპორტის ისტორიას მეტად ლამაზი და შინაარსიანი თავფურცელი დაუდეს. ამიტომაც აირჩიეს იგი საქართველოს მკლავჭიდის ფედერაციის გენერალურ მდივნად.

● **ბატონო თემურ, რატომ მაინცდამაინც მკლავჭიდი?..**

— ვფიქრობ, მკლავჭიდი წმინდა ქართული სპორტის სახეობაა.

მახსოვს, 1966 წელს ირანელთა ჩემპიონს გურამ საღარაძემ მკლავი გადაუწია. გაწბილებულმა ირანელმა ესლა უთხრა გურამს: საქართველოში ალბათ პირველი ხარო. ქართველმა ფალავანმა უპასუხა: ეჰ, იმდენი ძლიერი მკლავია ჩვენში, იქნებ საუკეთესოთა ასეულში ვერც მოვხვდეო.

უბრალოდ, ჩვენში მკლავჭიდი ახლა გახდა პოპულარული, თორემ ღონიერ და ჯანმაგარ ბიჭებს რა გამოლევს. ამიტომ გადავწყვიტეთ ამ ახალგაზრდებს მხარში ამოვდგომოდით. თან ვახტანგ მუსელიანმაც მთხოვა სპონსორობა გამეწია მათთვის.

● **როგორც ვიცი, მკლავჭიდის საერთაშორისო ფედერაციაში ჩვენების გაწევრიანებას დიდად შეუწყო ხელი ესპანეთმა, კერძოდ, თქვენმა ქართულ-ბასკურმა კლუბმა „იბერიამ“. უფრო დაწვრილებით ხომ ვერ გვიამბობდით ამის შესახებ?**

— თავდაპირველად ჩვენი კლუბის მიზანი ქართულ-ესპანური კულტურის ურთიერთკავშირი და მისი პროპაგანდა იყო. პირველივე ვიზიტის დროს ესპანელებს ველაპარაკეთ ჩვენში შექმნილი მკლავჭიდის ფედერაციის შესახებ. ესპანეთის მკლავჭიდის ფედერაციის პრეზიდენტმა ყველას აცნობა ეს ამბავი და ფართო რეკლამაც გაუწია მას. ამანაც განაპირობა ჩვენი საერთაშორისო აღიარება.

არ დამავიწყდება ჩვენი სტუმრობა ესპანეთში, რა გულთბილად მიგვიღეს, როგორ გვესიყვარულებოდნენ, გვეფერებოდნენ, მოგვიწყვეს სოლიდარობის მანიფესტაცია. მოკლედ, ესპანელმა და ბასკებმა კარგად იციან ჩვენი ფასი და ჩვენი სიყვარულიც შეუძლიათ. ჩემთან ერთად იყო ჩვენი კლუბის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ექიმი დავით ცქიტიშვილი, იქ კი ჩვენი კიდევ ერთი „თანამშრომელი“ კარლოს სოხო დაგვხვდა. ერთ საღამოს ქართველოლოგი კინტანა გამაცნეს. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა — ისეთი „წმინდა“ ქართულით დამელაპარაკა, თავი სამშობლოში მეგონა.

● **ისეთი სიამოვნებით იხსენებთ ესპანეთში გატარებულ დღეებს, უცებ ვიფიქრე, იქნებ თქვენმა კლუბმა შეძლოს და „გაიმეოროს“ ქართველ და ბასკ ფეხბურთელთა დიდი ხნის წინანდელი მატჩი.**

— კარგი იდეაა. ჩვენ ყველანაირად ვცდილობთ „იბერიკას“ არსებობა გამართლებული იყოს. ეს კი ისეთი საკითხია, რომელზეც ღირს დაფიქრება. ქართველებს ხომ ასე ძალიან გვიყვარს სიმბოლოები. ქართული ფეხბურთის აისი სწორედ ბასკებთან ურთიერთობით დაიწყო. ვეცდებით ხელმეორედ განვაცდევინოთ ხალხს ის სიხარული.

● **ადრე სიტყვა „სპონსორს“ ჩვენთან ტაბუ ედო. დღეს ყველაფერი სხვაგვარადაა. როგორ გესახებათ სპორტისა და მისი მეოხის, ინსტიტუტის თანამშრომლობის მომავალი საქართველოში?**

— ფაქტია, დღევანდელი სპორტი სპონსორთა გარეშე ვერ იარსებებს, არც შესაბამის სამინისტროს, არც მთავრობას საამისოდ თავზესაყრელი სახსრები არა აქვთ. გადაგვარებული აზროვნების შედეგი იყო მეცენატობის მივიწყება, მივიწყებაც არა — აკრძალვა. წარმოვიდგინოთ, მიშა ლაზიშვილს სლავა მეტრეველი თბილისში რომ არ ჩამოეყვანა, ან იმხანად გაჭირვებული სპორტსმენებისთვის არ ეპატრონა... ახლა თვალნათლივ ვხედავთ — სპორტი თავის თავს ვერ შეინახავს, თუ ვიღაცამ არ დააფინანსა.

● **რამდენადაც ვიცი, ევროპის ჩემპიონატზე წასასვლელად მთავრობამ საგზაო ხარჯებისთვის ოთხი ათასი დოლარი გამოგიყოთ...**

— დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ბატონ მურმან ომანიძეს (სხვათა შორის, იგი ძალიან კარგი მოჭიდავე იყო), რომელმაც ეს დახმარება გაგვიწია, მაგრამ, ვფიქრობ, ბიჭებს არ დაუღალატებიათ იგი და იქიდან თითო ორი ათას დოლარად შეფასებული რვა ვერცხლის თასი ჩამოიტანეს. ასე რომ, ოთხი ათასად თექვსმეტი ათასი მოვიპოვეთ. ესეც ხომ ბიზნესია!

● **სპორტი თქვენი ცხოვრების განუყრელ თანამგზავრად ქცეულა. ყველაზე სასიამოვნო მოგონება, რაც მასთან გაკავშირებთ...**

— მოდით, ფეხბურთით დავიწყოთ, როგორც სპორტის მეფეს, საკადრისი პატივი მივაგოთ. მახსენდება ის დღე, როცა ნაძალადევში ჩვენ, „ბებრებმა“, უკვე აღიარებულ ოსტატებს მანუჩარს, გოჩას და საშას მოვუგეთ. 1981 წლის 13 მაისს ხომ ყველა სიხარულით და სიამაყით მოიგონებს.

ამ ბოლო ხანს კი ციურიხში ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ზაურ ცხადაძეს დაჯილდოებისას ჩვენი სამფეროვანი დროშა რომ შემოვახვიეთ, ის დამამახსოვრდა. იმაზე საამაყო და ამაღელვებელი რა უნდა იყოს, შენი სამშობლოს დროშა რომ აფრიალდება საერთაშორისო სარბიელზე და ამაში შენი წვლილიც ურევია.

... თემურ გიორგაძის გაცნობის შემდეგ კიდევ უფრო განმიმტკიცდა სურვილი, ნაძალადევში დაიდგას ბურთის ძეგლი და მასზე იმათი ავტოგრაფები ამოიტვიფროს, ვისთვისაც ფეხბურთი და, საერთოდ, სპორტი არსებობის მნიშვნელოვან ნაწილად ქცეულა.

ინგა ჩახვაშვილი

სრულიად საქართველოს სპორტული თამაშების წინ

საქმეში მაშინ ჩავერთვებით, როცა ყველაფერი დაზუსტდება

გვესაუბრება კალათბურთის რესპუბლიკური ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი როლანდ ხომერიკი.

კალათბურთი, მოგეხსენებათ, საქართველოში ყველგან არაა განვითარებული მაღალ დონეზე. თუმცა სპორტულ თამაშებში მონაწილე გუნდების რაოდენობა ამთავითვე ძნელი ამოსაცნობი არ არის, ჩვენ მაინც ველოდებით ოფიციალურ ცნობებს ადგილებიდან. წინასწარი განაცხადების შემდეგ მოგვეცემა შესაძლებლობა დავსახოთ საქმეში ჩვენი ჩარევის კონკრეტული გეგმა. ჯერჯერობით, როგორც თამაშების სამდივნოში გვითხრეს, ასეთი ცნობები შტაბს არ მიუღია.

● **თქვენ აღნიშნეთ, რომ ის გუნდები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ თამაშებში, წინასწარვე ცნობილია. ვის გულისხმობდით?**

— ზოგადად შემიძლია ვთქვა — გუნდები დასავლეთ საქართველოში მხოლოდ ქუთაისში, სამტრედიაში, ზესტაფონში, ჭიათურაში ჰყავთ, აქეთ—გორში, რუსთავში, კახეთში — თელავში და გურჯაანში, უფრო ბავშვთა გუნდებს ვგულისხმობ. თელავს შეუძლია ანგარიშგასაწევი გუნდი შეკრას — ორი კარგი კალათბურთელი ამ რაიონიდან ფიზკულტურის ინსტიტუტში სწავლობს და დებულებით, უფლება აქვს რაიონმა ჩართოს ისინი ნაკრებში. მესხეთ-ჯავახეთში, მოგეხსენებათ, კალათბურთი არ არის განვითარებული იმ დონეზე, რომ იქ ნაკრებები შექმნან. აი ყველაფერ ამას უნდა დაზუსტება.

● **ვთქვათ გასარკვევი გაირკვა, ადრე თუ გვიან, ცხადია, ასეც იქნება, შემდეგ რა ფუნქციას იღებს თავის თავზე ფედერაცია?**

— ჩვენი ვალია ჩავერთოთ რეგიონალური შეჯიბრებების უკეთ ორგანიზებასა და ჩატარებაში, მივავლენთ მსაჯებს. ფინალური ასპარეზობა კი მთლიანად ჩვენი ხელმძღვანელობით ჩატარდება.

ესაუბრა **თ. თოშაშვილი.**



არ გააწბილეს...

იქნებ მოულოდნელიც იყო ის გარემოება, რომ ბალახის ჰოკეისტ ვაჟთა საქართველოს ჩემპიონატის ლანჩხუთის ტურის მატჩებს საკმაოდ მრავალრიცხოვანი გულშემატკივარი დაესწრო. საერთო ინტერესი და ცნობისმოყვარეობა თავისთავად; მაგრამ მაყურებელთა სიმრავლის უმთავრესი მიზეზი ისიც გახლდათ, რომ ქუთაისის „ფრესკასა“ და ამავე ქალაქის სპორტსკოლის, თბილისის, ბათუმის და ხელვაჩაურის გუნდებთან ერთად, უნდა ესპარეზა ლანჩხუთის „კლიტეკარასაც“, ლანჩხუთელმა ჰოკეისტებმა არ გააწბილეს გულშემატკივრები და აკი მხოლოდ მათ შეძლეს ღირსეული წინააღმდეგობა გაეწიათ შეჯიბრების ფავორიტისთვის — „ფრესკასათვის“. ქუთაისელებმა საკმაოდ იოლად დაამარცხეს ახალგაზრდა თანაქალაქელები, ბათუმელები, თბილისელები, ხელვაჩაურელები და მხოლოდ „კლიტეკარასთან“ დასჯერდნენ ნულოვან ფრეს. ლანჩხუთის ტურის (ჩემპიონატის პირველი წრე) შემდეგ სატურნირო ცხრილის პირველ სამ საფეხურზე არიან: „ფრესკა“ — 9 ქულა, „კლიტეკარა“ — 8, ბათუმის გუნდი — 6.

საქართველოს ჩემპიონს გამოავლენს ბოლო, 11 ტური, რომელიც ქუთაისში მოეწყობა 3-12 სექტემბერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ლელოს“ წინა ნომერში გამოქვეყნდა „ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მსვლელობაში შექმნილი ვითარებისა და საჩივრების განმხილველი კომისიის დასკვნა“. შეგახსენებთ, რომ კომისია შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის მინისტრის ბრძანებით. კომისიის დასკვნა რეაგირებისათვის გადაეგზავნა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმს. ვითვალისწინებთ რა საზოგადოებრიობის დიდ დაინტერესებას, დღეს გთავაზობთ კომისიის დასკვნის დანართებს.

დანართი № 1

სპორტულ-ტექნიკური კომისიის მიერ განხილული სადისციპლინო საკითხები და მათ თაობაზე გამოტანილი სანქციები

ოქმი № 1

11 მარტი. საკონტროლო მატჩში 28 იანვარს გორის ფეხბურთელმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა გვერდით მსაჯს (ფეხი ჩაარტყა), რომელმაც ველარ შეძლო მატჩის გაგრძელება.

სასჯელი: დისკვალიფიკაცია 1 თამაშით და ჯარიმა 1000 მან.

ოქმი № 3

29 მარტი. „აბული“ (ახალქალაქი) — „დილომი“ (თბილისი). მაყურებელთა მოედანზე შესვლის გამო მატჩი ჩაიშალა. მსაჯი-ინსპექტორი თამაშზე არ იყო. ახალქალაქის გუნდს ჩაეთვალა წაგება, სტადიონს მიეცა დისკვალიფიკაცია პირობით საგაზაფხულო ჩემპიონატის ბოლომდე (შეღავათი გაეწია რეგიონში დაძაბული სიტუაციის გამო).

ოქმი № 4

10 აპრილი. „კოლხეთი-1913“ (ფოთი) — „იბერია“ (თბილისი). მსაჯი მ. ჰელიძე, მსაჯი-ინსპექტორი გ. ბაქანიძე. მატჩის დამთავრების შემდეგ თამაშის შედეგით განაწყენებულმა ადგილობრივმა მაყურებელმა შემოამტვრია მოედნის რკინის ღობე და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მსაჯებს, რომლებიც 2 საათის განმავლობაში ჩაკეტილნი ისხდნენ გასახდელში.

სანქცია: სტადიონს მიეცა დისკვალიფიკაცია 1 თამაშით და ჯარიმა 5 000 მან.

16 აპრილი. ონის „მამისონის“ და ქუთაისის „უქიმერიონის“ მატჩი ჩაიშალა (ქუთაისელებმა დემონსტრაციულად დატოვეს მოედანი, როდესაც მსაჯმა დანიშნა 11-მეტრიანი დარტყმა ქუთაისელთა კარში). მსაჯი გ. გვიჩია, მსაჯი-ინსპექტორი რ. სირაძე.

სანქცია: ქუთაისელ ფეხბურთელებს 5-5 თამაშით მიეცათ დისკვალიფიკაცია, ჯარიმა 1000 მან. თითოეულს, მწვრთნელებს — სასტიკი საყვედური.

21 აპრილი. ჭიათურის „მაღაროელი“ — თბილისის „მრეტები“. მსაჯი გ. ხეჩუაშვილი. თამაშის მსვლელობისას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს მსაჯს, თამაშის შემდეგ ერთ-ერთმა მოთამაშემ ბურთი მიარტყა მსაჯს სახეში.

სანქცია: ფეხბურთელებს დისკვალიფიკაცია 3-3 თამაშით და ჯარიმა 500-500 მანეთი.

ოქმი № 6

26 აპრილი. აბაშის „ზანა“ — ბანძის „ოჯალეში“. მატჩი ჩაიშალა (მსაჯი შილაკაძე, ინსპექტორი ვ. მასტიაშვილი). სტუმართა გუნდს ჩაეთვალა წაგება, ფეხბურთელ ა. რურუას, რომელმაც ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მსაჯს, აეკრძალა თამაში ჩემპიონატის დამთავრებამდე. მსაჯების საკითხი გადაეცა მსაჯთა კოლეგიას.

25 აპრილი. „არაგვი“ (დუშეთი) — „სქური“ (წალენჯიხა). ფეხბურთელმა მ. ფუხაშვილმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მსაჯს.

სასჯელი: დისკვალიფიკაცია 5 თამაშით, ჯარიმა — 1000 მანეთი.

24 აპრილი. ქუთაისის „ქუთაისი“ — ფოთის „კოლხეთი-1913“. მსაჯი ო. გუნთაძე, გვ. მსაჯი დ. მენთეშაშვილი. არ ჩათვალეს სწორად გატანილი ბურთი. მსაჯების საკითხი გადაეცა მსაჯთა კოლეგიას (მსაჯების შეცდომა).

12 აპრილი. ხაშურის „ივერია“ — თბილისის „შევარდენი-1906“. მატჩი ჩატარდა არანორმალურ პირობებში. დამთავრდა ანგარიშით 3:2 ხაშურელთა სასარგებლოდ, უწესოდ დაირღვა საზოგადოებრივი წესრიგი (მსაჯი ზ. წერეთელი), მატჩი გასაჩივრდა. „ივერიას“ ჩაეთვალა წაგება.

ოქმი № 8

23 მაისი. „ბახტრიონი“ (ახმეტა) — „კახეთი“ (თელავი). მატჩი ჩაიშალა, ანგარიში იყო 2:1 თელაველთა სასარგებლოდ. მსაჯი შ. შალამბერიძე, ინსპექტორი გ. გვანცელაძე. ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს მსაჯს (ჯგუფური თავდასხმა).

სანქცია: ფეხბურთელ ე. გაგნაშვილს დისკვალიფიკაცია 5 თამაშით, 500 მან. ჯარიმა. ე. და ნ. თედეშვილებს ჩემპიონატის ბოლომდე დისკვალიფიკაცია, 500-500 მან. ჯარიმა. „ბახტრიონს“ ჩაეთვალა წაგება.

ოქმი № 9

17 ივნისი. „გურია-2“ (ჩიბათი) — „სურამი“ (სურამი). მსაჯი ს. შალამბერიძე, ინსპექტორი გ. მუმლაძე. გაიმარჯვა „გურია-2“-მა.

აღნიშნული მატჩი „სურამმა“ გაასაჩივრა.

სანქცია: მატჩის შედეგი 3:2 ძალაში დარჩა.

შენიშვნა: აღნიშნული მატჩის შემდეგ სურამელებს სურდათ რკინიგზის გადაკეტვა.

დანართი № 2

მიუხედავად იმისა, რომ არაერთგზის იქნა მიღებული დადგენილება დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის აკრძალვის შესახებ, გასული წლის ბოლოს 1991 წლის საგაზაფხულო ჩემპიონატისათვის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით უმაღლესი ჯგუფი მაინც გაიზარდა 2 გუნდით.

კურიოზული შეცდომა დაუშვეს 1991 წლის საგაზაფხულო პირველობის დებულებაშიც. კერძოდ, გამოტოვეს პუნქტი გათამაშებიდან გასული (გაძევებული) გუნდების შესახებ, რომლებმაც ჩაატარეს კალენდარული თამაშების 50 %-ზე მეტი. შედეგმაც არ დააყოვნა და პირველ ჯგუფში მოასპარეზე ჭიათურის „მაღაროელის“ გათამაშებიდან გასვლამ, რომელსაც ჩატარებული ჰქონდა კალენდარული თამაშების 57,8 %, მის მიერ მოპოვებული და დაკარგული ქულების გაუქმებით გადამწყვეტი გავლენა იქონია პირველ ჯგუფში გამარჯვებულის გამოვლენაზე.

დანართი № 3

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელ ყრილობაზე პრეზიდიუმის წევრთა რაოდენობა არ განუსაზღვრავთ. აირჩიეს 11 წევრი (ახალკაცი, კვინიკაძე, დარასელია, ზ. პეტრიაშვილი, ბაქანიძე, ჩხატარაშვილი, ყრუაშვილი, გორდაძე, დათუნაშვილი, გოგიაშვილი, კიკნაძე). ფედერაციის პრეზიდენტის ბატონ ნ. ახალკაცის თხოვნით ყრილობამ ნება დართო მას, თავისი შეხედულებისამებრ მოგვიანებით აერჩია ვიცე-პრეზიდენტი და პრეზიდიუმის დანარჩენი წევრები.

პრეზიდენტის მიერ, ყრილობის მიერ მინიჭებული უფლების შესაბამისად, პრეზიდიუმში საბოლოოდ შეყვანილი იქნა 25 კაცი.

პრეზიდენტის 1991 წლის 9 მაისის № 67/5 ბრძანებულებით, პრეზიდიუმის სხდომების სისტემატურად გაცდენისათვის, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, პრეზიდიუმიდან გაირიცხა 5 წევრი (ნათაძე, დათუნაშვილი, მესაბლიშვილი, კოტრიკაძე, ფიფია).

დღეისათვის საქართველოს რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმში ირიცხება 20 წევრი.

ბორის გულკო სუკ-ის და[illegible]ურებ „ტკბილ ცხოვრებასა“ და, რა თქმა უნდა, გატა კამსკიზეც...

ამას წინათ, ამერიკული საჭადრაკო ჟურნალისათვის მიცემულ ინტერვიუში საკუთარ თავგადასავალზე ილაპარაკა, დაუფარავად მოუთხრო საბჭოთა კავშირიდან ემიგრაციისათვის ბრძოლაზე, იმ ვითარებაზე, ახლა რომ იმყოფება, ყოფილმა საბჭოთა მოჭადრაკემ, ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქემ ბორის გულკომ. მან გაქცევით არ ისურვა წასვლა, მკაცრი და კანონიერი გზა აირჩია — ოფიციალური განცხადება შეიტანა ემიგრაციაში გამგზავრებამდე. მოლოდინი შვიდ წელიწადს გაგრძელდა, რომლის დროსაც, იყო საპროტესტო დემონსტრაციები, შიმშილობები. ამ აქციებში მას ერთგულად ედგა მხარში საბჭოთა კავშირის ექსჩემპიონი ანა ახშარუმოვა.

„იმ რთულ პერიოდში, — ამბობს გულკო, — კარგი ურთიერთობა მქონდა სხვა მოჭადრაკეებთან. ჩემთვის გაუსაძლისი ვითარება მოჭადრაკეთა ბრალი როდი იყო — ბევრი საბჭოთა დიდოსტატი ახლაც ჩემი მეგობარია. ძალიან გამიკვირდა, ჰარვარდის უნივერსიტეტში კარპოვის გამოსვლის შესახებ რომ წავიკითხე. როცა მას ჩემთან ურთიერთობაზე ჰკითხეს, თქვა, რომ ყოველთვის მეხმარებოდა იმ მძიმე ვითარებაში და მე ამის შესახებ ყველაფერი ვიცი. არადა, კარპოვი, სარგებლობდა რა შეუზღუდავი უფლებებით, ბრეჟნევის მმართველობის დროს, მხარს უჭერდა ჩემს თხოვნაზე უარის მთქმელების აზრსა და გადაწყვეტილებას. რას იზამ, ამჟამად საბჭოთა კავშირში სხვა ვითარებაა და კარპოვიც წარსულს სხვანაირად ხედავს... სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თანამშრომლებმა მირჩიეს საბჭოეთში დარჩენა და უზრუნველი ცხოვრების პირობების შექმნასაც შემპირდნენ ბევრი სხვა დიდოსტატის მსგავსად. ამ საუბრების წინ, კარპოვის მიერ მოგზავნილმა კაცმაც იგივე შემომთავაზა.

ჩვენი ყველაზე ხანგრძლივი შიმშილობა ოცდათერთმეტ დღეს გაგრძელდა და უშედეგო გამოდგა, რადგან სწორედ მაშინ გარდაიცვალა ბრეჟნევი და ისეთი ადამიანებისთვის, როგორებიც ჩვენ ვიყავით, არავის ეცალა. ბოლო შიმშილობა, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყრილობის მუშაობის დღეებში დავიწყეთ, ათ დღეს გრძელდებოდა და დემონსტრაციული ღონისძიების ნაწილს შეადგენდა. ამით ჩვენ აშკარა ბრძოლა გამოვუცხადეთ უშიშროების კომიტეტს. თითოეული დღე ნამდვილ ომს მოგაგონებდათ; ისინი გვდევნიდნენ და მილიციაში მივყავდით, სადაც რამდენიმე საათით გვტოვებდნენ... იყო შემთხვევები, როცა ჩვენს სანახავად მოჭადრაკეები მოდიოდნენ. ერთხელ დიდოსტატი სვეშნიკოვი ესწრებოდა ჩვენს აქციას. როცა ჩვენს „ალკვეთას“ შეეცადნენ, იგი გამოგვესარჩლა კიდეც. მე ამას დიდა ვაფასებ“.

თავისი ახლანდელი მდგომარეობით გულკო ფრიად კმაყოფილია. ანა ახშარუმოვამ მუდმივი სამუშაო იშოვნა — იგი პროგრამისტია, ზოგჯერ ჭადრაკსაც თამაშობს. ბორისი კი პროფესიონალი მოჭადრაკის ცხოვრებით ცხოვრობს. ყველაზე მეტად გულკო იმ შვიდი საუკეთესო წელიწადის ფუჭად დაკარგვას განიცდის. აი, რას ამბობს იგი სხვა დანაკარგზე: „როცა საბჭოთა კავშირიდან მიღებული ბარგი გავხსენი, იქიდან მოპარული აღმოჩნდა ასი კილოგრამი წონის საჭადრაკო ლიტერატურა. მაგრამ განა მარტო წიგნები — მოეპარათ ჩემი და ანას კუთვნილი მედლები. ჩემი დის მიერ გაგზავნილ შეკითხვაზე გვიპასუხეს, მედლები საჭადრაკო ფედერაციის გადაწყვეტილებით ამოიღესო“.

1989 წელს გულკოს ყველაზე მაღალი რეიტინგი ჰქონდა ამერიკელ მოჭადრაკეებს შორის, მაგრამ მერე მას საგრძნობლად გაუსწრო მეორე „გადასახლებულმა“ — თოთხმეტი წლის გატა კამსკიმ. — ჭაბუკი კამსკი არათანაბრად გამოდის, — ამბობს ბორის გულკო, — განსაკუთრებით, ძლიერ ტურნირებში. თავდაპირველად, კი გატამ ყველა გააოგნა, ერთი შეხედვით სასწაული იღბლიანობით და მამასთან ერთად მიცემული გამანადგურებელი ინტერვიუთი, რომელიც მსოფლიოს ბევრმა გაზეთმა გამოაქვეყნა. აი, რა თქვა კამსკების იმ ინტერვიუში:

„უამრავი სიძნელეების გადალახვის შემდეგ, ამერიკის შეერთებულ შტატებში სათამაშოდ მიგვიწვიეს, რის შემდეგ დავრჩით კიდეც. შესაძლოა ეს სხვა ქვეყანაში გაგვეკეთებინა, მაგრამ პირველად, ამერიკაში მოგვეცა ამის შესაძლებლობა... ჩვენ მსოფლიო ჩემპიონობა უნდა მოვიპოვოთ, ეს ჩვენი მიზანია. ნებისმიერი ქვეყანა, სადაც კი მამაჩემს სასურველ თანხას გადაუხდიან, როგორც მწვრთნელს, ფაქტობრივად, ჩვენი სამშობლო იქნება...

ოპოზიცია ძალზე ძლიერი გვყავს, განსაკუთრებით, კასპაროვისა და სეირავანის მხრიდან. დიდოსტატთა ასოციაციის შესარჩევი ტურნირი კასპაროვმა განგებ მოაწყო მოსკოვში, ჩვენგან თავის დახსნის მიზნით... მოხარული ვარ, რომ კასპაროვი ამ ასოციაციის პრეზიდენტი აღარ არის. ახლა ჩვენი იმედები ბესელ კოკზეა დამყარებული. ნახეთ, როგორი უსამართლობაა: ბორის გულკომ მსოფლიო თასის გათამაშებაში გააღწია რეიტინგის წყალობით მაშინ, როცა მე მასზე მაღალი რეიტინგი მაქვს. მე ახალგაზრდა ვარ და სწრაფად დავწინაურდები ელოს ცხრილით. წესები ასეთი მკაცრი არ უნდა იყოს. მიმაჩნია, რომ ჩემს მიმართ გამონაკლისი უნდა დაუშვან — საშუალება მომცენ კასპაროვთან და კარპოვთან შერკინებისა...

თქმა არ უნდა, მანილაში ცუდად ვითამაშე. ამისი მიზეზი კი ის ნერვული მდგომარეობა იყო, მოსკოვის ტურნირთან რომ იყო დაკავშირებული. სეირავანი დახმარებას დამპირდა, მაგრამ მერე სიტყვას გადავიდა. იგი მხოლოდ პირად საქმეებზე ფიქრობს. ოლიმპიადაზეც მესამე დაფასთან დამსვეს, სეირავანისა და გულკოს შემდეგ... ორწლიანი სტიპენდიაც არასწორად გასცეს — იგი ალექ ფიშბეინს მიაკუთვნეს!

კასპაროვი ყველგან წყალს ამღვრევს. იგი ყველანაირად ცდილობს საჭადრაკო დაფასთან ჩვენი შეხვედრის თავიდან აცილებას, ყველაფერს კისრულობს. თუნდაც, გულკოს ამბავი გაიხსენეთ. იგი კასპაროვისთვის არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს... მე კი უბრალოდ, ვკარგავ სამ წელიწადს“!

1990 წლის გაზაფხულზე, ლინარესში, გულკომ მესამედ მოუგო სატურნირო პარტია კასპაროვს და, საერთოდ, ბორისს ჩემპიონთან უნიკალური ანგარიში — 3,5:0,5 აქვს. ამ პარტიის შემდეგ, ერთმა ჟურნალისტმა, ასეთი კითხვა მისცა გულკოს: რომელი მოვლენა მიგაჩნიათ ყველაზე მნიშვნელოვნად ცხოვრებაში საბჭოთა კავშირიდან თქვენი გამგზავრების ნებართვის მიღების შემდეგ? მოჭადრაკემ ცივად უპასუხა: „ამ ნებართვის მიღების შემდეგ ჩემი ცხოვრების მთავარ მოვლენად ვთვლი საბჭოთა კავშირიდან წამოსვლას (!)“.

— გატას აზრით, სეირავანი მისი ცხოვრების გზის გამრუდებით არის დაინტერესებული, — განაგრძობს ბორის გულკო. — ახალგაზრდა მოჭადრაკის თქმით, სეირავანი მხოლოდ საკუთარ ჯიბეზე ზრუნავს. მიაჩნია, რომ ამერიკაში ბევრი ტალანტია, რომლებსაც არაფრით ეხმარებიან. ეროვნული ფედერაცია კი კიდევ უფრო ამძიმებს ვითარებას. ყველაფერ ამას სეირავანიც ზედ ერთვის, ამიტომაც მას აღარ მიესალმება მანამ, სანამ ბოდიშს არ მოუხდის.

იასერ სეირავანმა კატეგორიულად უარყო ბრალდებები და განაცხადა, რომ მანილის საზონათშორისო ტურნირის დროს, არაერთხელ ესაუბრა კამსკებს მოსკოვის შესარჩევ ტურნირთან დაკავშირებით. მათ გულისტკივილი გამოთქვეს, დიდოსტატთა ასოციაციისგან მიღებული „დეზინფორმაციის“ გამო და მადლობა გადაუხადეს ამგვარი გულისხმიერებისთვის.

კამსკი ისევ ჩარიცხეს ამერიკის შეერთებული შტატების ოლიმპიურ გუნდში მესამე დაფაზე. განაწყენებულმა გატამ პირველი დაფა მოითხოვა, მაგრამ უარი მიიღო, ამიტომ, ოლიმპიადაზე არ გაემგზავრა. ყოველივე ამის შემდეგ, სეირავანმა თქვა, რომ პრობლემა გატა კი არა, მამამისია და ამ პრობლემას ამერიკელი მოჭადრაკეები კვლავაც არაერთხელ გადაეყრებიანო.

მე ბევრჯერ მიხილავს და მომსმენია კამსკების დუეტისათვის მოქმედებაში. თავის ინტერვიუებში გატა გამუდმებით მამის სიტყვებს იმეორებს. როცა სალაპარაკო აღარაფერი აქვს, მაშინ მიკროფონს მამა ეუფლება. ამას გარდა, იგი ძალდატანებით აიძულებს ბიჭს, თავდაუზოგავად იმუშაოს დაფასთან, სწორედ ამაშია საიდუმლო „სასწაულებრივი იღბლისა“, რომელიც, ალბათ, შემდეგშიაც გაუმართლებს გატას — დაასკვნა ბოლოს ბორის გულკომ.

მოამზადა ბელა ჯილაურმა.

◆ ◆ ◆

იტალიელთა გამარჯვებით

ფრენბურთელ ვაჟთა შორის მსოფლიო ჩემპიონმა — იტალიის ნაკრებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ იგი უძლიერესია და ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებში მხოლოდ ოქროს მედლებისთვის იბრძოლებს. იტალიელებმა შესანიშნავად განვლეს მსოფლიო ლიგის თასის გათამაშების მრავალეტაპიანი შეჯიბრება და შევიდნენ ფინალურ ოთხეულში, სადაც მათთან ერთად არიან კუბის, ჰოლანდიისა და საბჭოთა კავშირის სპორტსმენები. ნახევარფინალში იტალიელებმა ჰოლანდიელებს აჯობეს, კუბელებმა — საბჭოელებს. ფინალში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ იტალია და კუბა. მსოფლიო ჩემპიონებმა, ძნელ, უშეღავათო ბრძოლაში დაამარცხეს მეტოქე ანგარიშით 3:0, თუმცა, სამივე პარტიაში მინიმალურ უპირატესობას მიაღწიეს. მესამე ადგილი საბჭოთა კავშირის გუნდს დარჩა.

ინფორმაცია

ედმონტონი (კანადა). [illegible] წყო იუნიორ კალათბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატი, რომლის მონაწილე თექვსმეტი გუნდი ოთხ ქვეჯგუფად დაიყო. ორ-ორი საუკეთესო კოლექტივი მეოთხედფინალისტთა ორ ჯგუფს დაკომპლექტებს. მერე გამოვლინდებიან ნახევარფინალისტები და ბოლოს ფინალისტები.

პირველ შეხვედრებიდან აღსანიშნავია იუგოსლაველთა გამარჯვება საბჭოთა კავშირის ნაკრებთან 90:83. ამ ჯგუფში მოთამაშე ბრაზილიელებმა სირიის კალათბურთელებს აჯობეს — 113:80.

გადამწყვეტი შეხვედრა, რომელმაც უნდა გამოავლინოს მსოფლიო ჩემპიონი, გაიმართება 4 აგვისტოს.

● **ნოტინგემი. ჩოგბურთის ფედერაციის თასი ქალთა გუნდებში მოიგო ესპანეთის ნაკრებმა, რომელმაც ფინალში ამერიკელ გუნდს აჯობა — 2:1. ამერიკელმა ჯენიფერ კაპრიატიმ აჯობა კონჩიტა მარტინესს 2:1 (4:6, 7:6, 6:1), სხვა ორ შეხვედრაში კი წარმატება ესპანელებს ხვდათ: არანტა სანჩესმა მოუგო მერი ჯო ფერნანდესს — 6:3, 6:4, სანჩეს — მარტინესის წყვილმა კი ჯიჯი ფერნანდეს — ზინა გარისონის დუეტს — 3:6, 6:1, 6:1.**

● **ბარსელონა.** დამთავრდა 18 წლამდე ასაკის ათლეტთა მსოფლიო ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. გუნდური ადგილები აქ ასე განაწილდა: სსრ კავშირი, თურქეთი, ბულგარეთი.

ლისაბონი. პორტუგალიის დედაქალაქში დამთავრდა 17 წლამდე ასაკის კალათბურთელი გოგოების (ამ ასაკობრივ ჯგუფს სხვაგვარად კადეტებს უწოდებენ) ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც ადგილები განაწილდა ასეთი თანმიმდევრობით: საბჭოთა კავშირი, იუგოსლავია, იტალია, უნგრეთი, საფრანგეთი, ჩეხეთ-სლოვაკეთი.

● **ნიუ-იორკი. საერთაშორისო ტურნირი პირველად მოიგო ფრანგმა ჩოგბურთელმა იზაბელ დემონჟომ. აქ მიმდინარე შეჯიბრების ფინალში მან აჯობა ამერიკელ ლორი მაკნილს — 6:4, 6:4.**

● **ბერლინი.** გერმანიის „გრან-პრი“, ანუ „ფორმულა-1“-ში მსოფლიო ჩემპიონატის მეცხრე ეტაპი მოიგო „უილიამს-რენოს“ წარმომადგენელმა ნაიჯელ მენსელმა. 306 კილომეტრი მან 1 საათში, 19 წუთსა და 29,66 წამში დაფარა. მსოფლიოს [illegible] ავტორბოლის ამ სახეობაში, ბრაზილიელი აირტონ სენა კვლავინდებურად ინარჩუნებს ლიდერობას ცხრა ეტაპის ჯამში.

მოკლე გზა ტოკიომდე

მძლეოსანთა მსოფლიო ჩემპიონატამდე, რომელსაც იაპონიის დედაქალაქი ტოკიო უმასპინძლებს, ერთ თვეზე ნაკლები დრო დარჩა. „სპორტის დედოფლის" რაინდთა ამ თავყრილობაში მონაწილეობის უმოკლესი გზაა ეროვნულ შესარჩევ შეჯიბრებებსა თუ პირველობებში გამარჯვება, ამიტომაც, ახლა ამ და საერთაშორისო ტურნირებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედლების მაძიებელნი და მათი მწვრთნელები. მაგრამ, ყველას როდი უმართლებს: ჰანოვერში, გერმანიის მძლეოსანთა პირველობაზე 100 მეტრი შესანიშნავად ირბინა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა კატრინ კრაბემ — 10,92; ევროპის ჩემპიონმა ჰაიკემ 2 მეტრი სიმაღლე დაძლია, რაც წელს საუკეთესო შედეგია მსოფლიოში; 400 მეტრი კარლოვეცმა 45,49-ში დაფარა. მათ გაინაღდეს ტოკიოს საგზურები, რასაც ვერ ვიტყვით ბადროს ტყორცნაში გამარჯვებულ ვოლფგანგ შმიდტზე. მწვრთნელებს არ აკმაყოფილებთ მაჩვენებელი 64,98 მეტრი და ტოკიოში მისი გამგზავრება ჯერჯერობით სათუოა,

ბირმინჰემში, ინგლისის ჩემპიონატზე, მსოფლიო ჩემპიონი სტივ კრემი 1500 მეტრზე მხოლოდ მეოთხე იყო და, ცხადია, მას ტოკიოში ტიტულის შენარჩუნებისთვის ბრძოლა აღარ მოუწევს.

განზრახვა ვერც ცნობილმა კანადელმა სპრინტერმა ბენ ჯონსონმა აისრულა. თავისი ქვეყნის პირველობაზე მან 100 მეტრზე 10,42 წამი აჩვენა. ეს შედეგი მხოლოდ მეოთხე იყო და ამ მანძილზე იგი „ჩამოწერეს", მაგრამ ნაკრების ხელმძღვანელობას გადაწყვეტილი აქვს ჯონსონი მაინც წაიყვანოს მსოფლიო ჩემპიონატზე 4X100 მეტრზე ესტაფეტაში მონაწილეობისათვის. თვითონ მას კი იმედი აქვს, ტოკიოს სტარტებამდე დარჩენილ დროში ბევრი ხარვეზის აღმოფხვრას შეძლებს და თავის საყვარელ დისტანციაზე მაინც ცდის ბედს.

მსოფლიოს მომავალი ჩემპიონი — რუბენს ბარიკელო?

სიახლე და სიურპრიზი ყოველთვის იყო „ფორმულა 1-"ში. სანამ ძველ პრობლემებს გაარჩევ, უკვე მომავალზე უნდა იფიქრო. „მინარდიმ", იტალიის ქალაქ ფაენცას გუნდმა, მაგალითად, წლევანდელი სეზონისთვის „ფერარის" 12-ცილინდრიანი ძრავა მიიღო, მაგრამ ჯანკარლო მინარდი თავისი გუნდისთვის ეძებს ისეთი მაღალი კლასის სპეციალისტებს, როგორიცაა არგენტინელი კონსტრუქტორი ენრიკე სკალაბრონი (რომელიც „ლოტუსმა" მიიწვია) ან ახალი ტიპის წინა ელერონის გამომგონებელი, ინგლისელი ჰარვი პოსტლიტუეიტი („ტაირელი"). ერთი სიტყვით, იტალიური გუნდის ახალგაზრდა მენეჯერი უსაქმოდ ვერ ჩერდება და უკვე მომავალი სეზონისთვის ემზადება.

ჯან კარლო მინარდი მოელაპარაკა ბრაზილიელ სპეციალისტს „მინარდის" ახალი მოდელის აეროდინამიკურ გვირაბში გამოცდაზე ქალაქ სან პაულოში. გარდა ამისა, დაგეგმილია „მინარდის" გამოცდა „ინტერლაგოსზე". ამის განსახორციელებლად რომაელი კონსტრუქტორი შეჰპირდა ბრაზილიელ კოლეგებს, რომ მიიწვევს 18 წლის რუბენს ბარიკელოს, ბრაზილიური ავტოსპორტის ამომავალ ვარსკვლავს, რომლის რბოლის მანერაც და სტილიც ძალიან ჰგავს აირტონ სენას სტილს. რუბენსი იტალიური წარმოშობისაა, სახელგანთქმული თანამემამულეების მსგავსად, ინგლისში გადასახლდა და მალე კარტინგით ასპარეზობისას პირველ წარმატებას მიაღწია. თავის დროზე მან ემერსონ ფიტიპალდის ძმისშვილი, კრისტიან ფიტიპალდი დაამარცხა. შარშან ბარიკელო, რომელსაც მოფერებით რუბინიოს ეძახიან, „ფორმულა ოპელში" ასპარეზობდა, ახლა კი „ფორმულა 3" კლასში გამოდის.

ძნელი სათქმელია, როდის მიიწვევენ რუბენს ბარიკელოს „ფორმულა 1" კლასში საასპარეზოდ. მან ჯერ „ფორმულა 3" და „ფორმულა 3000" უნდა გაიაროს, რაც აუცილებელია ყველა ავტომრბოლისთვის, თუმცა რუბინიო ფიქრობს, რომ „მინარდის" ახალი მოდელის გამოცდა მას საუკეთესო რეკლამას გაუწევს მომავლისთვის. თავის მხრივ, ჯანკარლო მინარდის იმედი აქვს, რომ ავტომრბოლის გამოცდა ბრწყინვალედ ჩაივლის.

16 იტალიელი ავტომრბოლი იცავდა ქალაქ მარანელოს გუნდის, „ფერარის", ღირსებას, მაგრამ მხოლოდ ალბერტო ასკარი გახდა მსოფლიო ჩემპიონი.

მიქელე ალბორეტო კი ყველაზე დიდხანს შერჩა იტალიურ გუნდს.

1950-დან 1973 წლამდე ენცო ფერარი გუნდის შექმნის დროს იშვიათად იწვევდა უცხოელ ავტომრბოლებს, უპირატესობას ყოველთვის თანამემამულეებს აძლევდა. მათ შორის იყვნენ ალბერტო ასკარი (1950-53 წ. წ.)—26 სტარტი, 13 მოგება და მსოფლიო ჩემპიონის ორი ტიტული; ლუიჯი ვილორეზი (1950-53 წ.წ.) — 20 სტარტი; დორინო სერაფინი (1950 წ.)— 1 სტარტი; პიერო ტარუფი (1951-55 წ.)— 13 სტარტი, 1 მოგება; ჯუზეპე ფარინა (1952-55 წ. წ.)—20 სტარტი, 1 მოგება; უმბერტო მალიოლი (1953-55 წ. წ.) — 5 სტარტი; ეუჯენიო კარტელოტი (1955-57 წ. წ.)— 211 სტარტი; ჩეზარე პერდიზა (1957 წ.)— 1 სტარტი; ლუიჯი მუსო (1956-58 წ. წ.)— 15 სტარტი, 1 მოგება; ჯანკარლო ბაგეტი (1961-62 წ. წ.)— 7 სტარტი, 1 მოგება; ლორენცო ბანდინი (1963-67 წ. წ.) — 32 სტარტი, 1 მოგება; ლუდოვიკო სკარფიოტი (1963-67 წ. წ.) —6 სტარტი, 1 მოგება; ანდრეა დე ადამიჩი (1968 წ.) — 1 სტარტი; ინაციო ჯუნტი (1970 წ.) —4 სტარტი; არტურო მერცარიო (1972-73 წ. წ.) — 11 სტარტი; მიქელე ალბორეტო (1984-88 წ. წ.) — 80 სტარტი, 3 მოგება.

მოულოდნელმა კატასტროფებმა და უსაფუძვლო ბრალდებებმა, თითქოს ენცო ფერარი იყოს „სატურნი, რომელიც საკუთარ შვილებს ყლაპავს", დააფიქრა იტალიელი მენეჯერი და... გზა გაუხსნა უცხოელ სპორტსმენებს.

1973 წელს არტურო მერცარიომ დაასრულა იტალიელთა „ეპოქა" „ფერარიში", რათა იგი კვლავ განახლებულიყო 1984 წელს მიქელე ალბორეტოს მიწვევით. უნდა ითქვას, რომ მიუხედავად დიდი შრომისა, არც ერთი მათგანი არ ყოფილა ჩემპიონი ალბერტო ასკარის გარდა, რომელმაც უდიდეს აღიარებას 1952-53 წლებში მიაღწია. როგორც ამბობენ, იგი ავტომობილის მართვის ბრწყინვალე ტექნიკით გამოირჩეოდა და დაამყარა თავისებური რეკორდი — 26 სტარტიდან 13 მოგება.

წლევანდელ სეზონში „ფორმულა 1" კლასში 12 იტალიელი პილოტია. ვეტერანებთან ერთად ბევრი ახალგაზრდა ასპარეზობს, მაგრამ ისინი, ჯერჯერობით შედარებით სუსტი გუნდების ღირსებას იცავენ.

მთელი 41 წლის მანძილზე „ფერარის" რიგებში მსოფლიოს 15 ქვეყნის 53 პილოტი ასპარეზობდა, აქედან — 9 ფრანგი, 3 არგენტინელი, 2 ავსტრიელი, 3 ბელგიელი, 1 კანადელი, 1 გერმანელი, 7 ბრიტანელი, 16 იტალიელი, 2 მექსიკელი, 1 ახალზელანდიელი, 1 ესპანელი, 1 სამხრეთაფრიკელი, 4 ამერიკელი, 1 შვედი და 1 შვეიცარიელი.

„ფორმულა 1" კლასის ავტომობილებით რბოლების ისტორიაში მე-500 „გრან პრი" გათამაშდა შარშან, ავსტრალიაში, ადელაიდას ტრასაზე, რომელიც ბრაზილიელმა პილოტმა, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა, ნელსონ პიკემ („ბენეტონ-ფორდი") მოიგო.

აქ უნდა ითქვას, რომ მე-100 „გრან პრი" მოიპოვა ინგლისელმა სტირლინგ მოსმა („ლოტუსი") 1961 წელს გერმანიაში; მე-200 — ჯეკი სტიუარტმა („ტაირელი") 1971 წელს მონაკოში; მე-300 — რონი პეტერსონმა („ლოტუსი") 1978 წელს სამხრეთ აფრიკაში; 305-ე — ნიკი ლაუდამ („ბრებემი") 1978 წელს შვეციაში; მე-400 „გრან პრიც" მან მოიპოვა „მაკლარენ-პორშეს" საჭესთან 1984 წელს ავსტრიაში.

დავით ჩუბინიძე,

„სპორტლოტო"

გაიმართა „სპორტლოტოს" 1991 წლის 30-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 45": 1 (კალათბურთი), 2 (ბიატლონი), 10 (წყალბურთი), 18 (მძლეოსნობა), 24 (ხელბურთი), 38 (ალპინიზმი).

„სპორტლოტო 5 36": 2 (ბიატლონი), 10 (წყალბურთი). 19 (სათხილამურო რბოლები), 28 (ტყვიის სროლა), 36 (მხატვრული ტანვარჯიში).

კორნელი ფიფია

მრავალმხრივი გატაცების კაცი იყო, მაგრამ თუ საქმეს ხელს მოჰკიდებდა, მთელ ცოდნას ჩააქსოვდა მასში, პროფესიული პასუხისმგებლობის გრძნობით აკეთებდა ყველაფერს.

მისი თაოსნობით დაინერგა ძალოსნობა ზუგდიდში, მუშაობდა მწვრთნელად, თუმცა, პროფესიით ტრანსპორტელი იყო. მთელი ცხოვრება დაუცხრომლად ეწეოდა ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდას. იყო „ლელოს" და „ოდიშის" კორესპონდენტი.

კორნელი (კოკი) ფიფია 1929 წელს დაიბადა. ძალოსნობას ყმაწვილობიდან დაუკავშირდა, მერე ორი ათეული წელი სპორტსაზოგადოება „განთიადის", შემდეგ „კოლმეურნეს" რაისაბჭოს ძალოსანთა ნაკრებ გუნდებს ედგა სათავეში. სპორტმა იმდენად გაიტაცა, 1969 წელს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტიც დაამთავრა და მეორე სპეციალობა მიიღო.

მუდამ იქცევდა ყურადღებას პრესაში საქმის ღრმა ცოდნით დაწერილი მისი პუბლიკაციები. არაერთი პრობლემა გამოუტანია საზოგადოებრიობის სამსჯავროზე, ბევრს მუშაობდა სპორტის სოციალური მნიშვნელობის საკითხებზე, აგროვებდა გამოჩენილი ადამიანების სპორტთან ურთიერთობის მაგალითებს, სპორტზე მათ გამონათქვამებს.

სპორტის ვეტერანის, პროპაგანდისტის, ნიჭიერი, შრომისმოყვარე და უღრესად გულისხმიერი ადამიანის კორნელი ფიფიას ხსოვნა დიდხანს დარჩება ჩვენს გულებში.

ზუგდიდის ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციები, გაზეთ „ლელოს" რედაქცია, გაზეთ „ოდიშის" რედაქცია.

მიგელ ინდურაინის ბენეფისი

პარიზი. მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟული მრავალდღიანი ველორბოლა „ტურ დე ფრანსი" მოიგო ესპანელმა მიგელ ინდურაინმა, რომელიც „ბანესტოს" გუნდის ღირსებას იცავდა. ბოლო, ოცდამეორე ეტაპი (მელენი — პარიზი, 178 კმ) მან ძირითად ჯგუფთან ერთად დაამთავრა, რაც სავსებით საკმარისი აღმოჩნდა, რათა რბოლის ჩემპიონი გამხდარიყო. ინდურაინამდე ანალოგიური წარმატება ესპანელ ველოსიპედისტთაგან მოპოვებული აქვთ ლ. ოკანას (1973 წელს) და პ. დელგადოს (1988).

22-ე, დასკვნითი ეტაპის ფინიშზე, რომელიც, ტრადიციულად, ელისეს მინდვრებზე ეწყობა, ყველაზე ადრე მიიჭრა დიმიტრი კონიშევი (ტვმ). სხვათა შორის, ლიდერთა შორის იმყოფებოდა ტაშკენტელი ჯომოლიდინ აბდუჟაპაროვიც, მაგრამ ბოლო მოსახვევზე წაიქცა და პრიზიორთა მიღმა დარჩა.

ახალგაზრდები ამარცხებენ ვეტერანებს

ინგლისში „სილვერსტოუნზე" და საფრანგეთში „ლე მანზე" გაიმართა სპორტული ავტომობილებით რბოლაში მსოფლიო ჩემპიონატის მომდევნო ორი ეტაპი.

„იაგუარის" მენეჯერმა — ტომ უოკინშოუმ გადაწყვიტა უახლოეს მომავალში ჩაერთოს „ფორმულა 1" კლასის ავტომობილებით რბოლაში. სტილი, რომლითაც მისმა გუნდმა დაამარცხა მეტოქე „სილვერსტოუნზე", იმედს იძლევა, რომ ყოფილი პილოტი გეგმებს განახორციელებს.

„იაგუარმა" მეხუთეჯერ მოიპოვა „იმპერიის გრან პრი" ნორთემპტონის ავტოდრომზე. 83-წრიანი რბოლა წელს პირველად ჩატარდა განახლებული 3,201 მილის სიგრძის ტრასაზე და ჩანდა, რომ იგი მხოლოდ უორვიკსა და ფაბისთვისაა „განკუთვნილი".

არადა, ეს გამარჯვება შეიძლება არც შემდგარიყო. მარტინ ბრანდლი, რომელიც მეორე „იაგუარს" მართავს, პირველი წრის მერე ბოქსში შევიდა ავტომობილის შესაკეთებლად. ამასობაში მეტოქეებმა 7 წრის გავლა მოასწრეს. ამ ვითარებამ სრულიად შეცვალა გუნდის გეგმები და დერეკ უორვიკს ძალზე საჭირო ქულები დააკარგვინა.

ბრანდლი ისე სწრაფად ჩაერთო ასპარეზობაში, რომ საბოლოოდ სამი წრით დააგვიანა ფინიშთან მისვლა — მიხაელ შუმახერისა (გერმანია) და კარლ ვენდლინგერის (ავსტრია) შემდეგ, რომლებიც „საუბერ-მერსედესის" ახალ მოდელს მართავენ.

დერეკ უორვიკი ტეო ფაბის ავტომობილში გადაჯდა, რათა სამსაათიანი დაგვიანება აენაზღაურებინა.

ინგლისელ ავტომრბოლს, მარტინ ბრანდლს ქულები ჩამოართვეს, რადგან შეჯიბრების დამთავრების შემდეგ გაირკვა, რომ რბოლა მან სხვისი ავტომობილით დაასრულა.

მიუხედავად ამისა, „იაგუარმა" მეორე გამარჯვება იზეიმა წლევანდელ სეზონში და ამით დამტკიცდა, რომ ტომ უოკინშოუს საუკეთესოდ ორგანიზებული გუნდი და ნიჭიერი პილოტები ჰყავს.

„სილვერსტოუნი" (ტექნიკური შედეგები):

1. დერეკ უორვიკი — ტეო ფაბი (ინგლისი-იტალია, „სილკ ქათ იაგუარი"); 2. მიხაელ შუმახერი — კარლ ვენდლინგერი (გერმანია-ავსტრია, „საუბერ-მერსედესი"); 3. მარტინ ბრანდლი (ინგლისი, „სილკ ქათ იაგუარი").

პილოტები: 1-2. შლესერი, მოსი — 37; 3. ფაბი — 35.

ფირმები: 1. „მერსედესი" — 42; 2. „იაგუარი" — 40.

„ლე მანის" მეათედ გადაკეთებულ ავტოდრომზე „საუბერ-მერსედეს-ტურბო" უსწრაფესი იყო — ერთი წრე დაფარა 3 წუთსა და 31,270 წამში. განავითარა საშუალო სიჩქარე საათში 231,741 კილომეტრი, მაგრამ სტარტი მაინც ვერ აიღო პირველი რიგიდან, თუმცა „24-საათიანი რბოლების" 59-ე გათამაშების (1923-1991 წ. წ.) ფავორიტად ითვლებოდა.

ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის ახალი წესების თანახმად, პირველი ხუთი ადგილი სასტარტო ბილიკზე დაუთმეს ატმოსფერული ძრავებით აღჭურვილ ავტომობილებს.

„იაგუარმა" და „მერსედესმა" არ გამოიყვანეს სტარტზე ახალი მოდელები და ორივე გუნდმა საკუთარი ბედი ძველ მანქანებს მიანდო.

„მაცუდას", რომელმაც პირველი გამარჯვება მოიპოვა რბოლების ისტორიაში. მართავდა ვოლკერ ვაიდლერის (გერმანია), ჯონი ჰერბერტის (ინგლისი) და ბერტრან გაშოს (ბელგია) ახალგაზრდული ეკიპაჟი.

ჟან-ლუი შლესერის, ალენ ფერედეს (საფრანგეთი) და იოჰენ მასის (გერმანია) ტრიომ („საუბერ-მერსედეს-ტურბო") მეექვსედან პირველ ადგილზე გადაინაცვლა, მაგრამ ავტომობილი მწყობრიდან გამოვიდა და „მაცუდამ" იგი 4 წრით და 15 წუთით ჩამოიტოვა. „მერსედესი" ნახევარ საათზე მეტხანს დაყოვნდა ბოქსში, რათა შემდეგ დაბრუნებულიყო ტრასაზე, ერთი წრე გაევლო და საბოლოოდ გაჩერებულიყო.

იმ დღემდე იაპონურ გუნდებს არასდროს მოუგიათ „ლე მანის" რბოლები. ბოლო დროს (1987 და 1989 წლებში) „მაცუდას" საუკეთესო შედეგი იყო მეშვიდე ადგილი.

38 ავტომობილიდან მხოლოდ 17-მა გადაკვეთა ფინიშის ხაზი.

ბელგიელ ჯეკი იქსს, „ლე მანის 24-საათიანი რბოლების" 6-გზის გამარჯვებულს, რომელიც 2 წლის მანძილზე „მაცუდას" კონსულტანტ-მენეჯერი იყო, სჯეროდა ახალგაზრდა ავტომრბოლების გამარჯვებისა.

„ბერტრანმა, ჯონიმ და ვოლკერმა მართლაც სწრაფად შეითვისეს რბოლის სწორი ტაქტიკა", — თქვა სახელგანთქმულმა ავტომრბოლმა.

„ლე მანი" (ტექნიკური შედეგები):

1. ვოლკერ ვაიდლერი, ჯონი ჰერბერტი, ბერტრან გაშო (გერმანია, ინგლისი, ბელგია, „მაცუდა სპიდ 787") — 362 წრე; 2. დეივი ჯოუნსი, მიშელ ფერტე, რაულ ბოეზელი (აშშ, საფრანგეთი, ბრაზილია) — ჩამორჩა 2 წრით; 3. ტეო ფაბი, კენი ეჩისონი, ბობ ვოლეკი (იტალია, ირლანდია, საფრანგეთი) — ჩამორჩა 4 წრით;

სპორტული ავტომობილებით რბოლაში მსოფლიო ჩემპიონატის მესამე და მეოთხე ეტაპების შემდეგ პირად ჩათვლაში დაწინაურდა ტეო ფაბი (47 ქულა). მას 10-10 ქულით ჩამორჩებიან იოჰენ მასი და ჟან ლუი შლესერი. 30 ქულით მეოთხე ადგილზეა დერეკ უორვიკი, რომელსაც თითო ქულით ჩამორჩებიან ფილიპ ალიო და მაურო ბალდი.

ერთთვიანი შესვენების შემდეგ განახლდება ჩემპიონატი, მეხუთე ეტაპი გაიმართება 18 აგვისტოს გერმანიაში, „ნიურბურგრინგზე.

დავით ჩუბინიძე

რედაქტორი
თენგიზ ბაჩეჩილაძე

„ლელოს" დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა გ. ქორქაშ, კორექტორი მ. ქძამიძე.

ჩვენი მისამართი:
საფოსტო ინდექსი — 380008
თბილისი, ვ. კოსტავას, 14.
ტელეფონები — თბილისი, „ლელო"

რედაქციის ტელეფონები:
[illegible] — 93-07-55
[illegible] — 93-07-58
[illegible] — 93-07-54
[illegible] — 93-07-20, [illegible] — 93-07-27

ინდექსი
INDEX
ИНДЕКС
66435

რედაქცია გულდასმით ეცნობა მკითხველთა წერილებს, მაგრამ ყოველ მათგანზე გამოხმაურებისა და პასუხების გაცემის საშუალება არ გააჩნია. [illegible]
[illegible] „სამშობლო" [illegible] 380096, თბილისი, ვ. კოსტავას, 14. [illegible]

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20.